სასცენო ხელოვნების აღმავლობა-განვითარებაში დიდ როლს ასრულებს თეატრალური კრიტიკა, რაც ერთხელ კიდევ ნათლად ჩანს სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის დადგენილებიდან „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ“. ჩვენი ვალია არც ერთი სპექტაკლი არ დარჩეს კრიტიკის უყურადღებოდ და შეუფასებელად.

პარტია მოგვიწოდებს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სოფლის მოსახლეობის კულტურულ მოსახურებას. სასცენო ხელოვნების მონაპოვარი სახალხოდ მისაწვდომი უნდა იყოს. განა დასანანებელი არ არის, რომ საქართველოს მთელ მთიანეთში (აფხაზეთში, სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში და სხვაგანაც) მონატრებული არიან კონცერტებს, წარმოდგენებს სცენის გამოჩენილ ოსტატთა მონაწილეობით. თეატრალურმა საზოგადოებამ უნდა უწინამძღვროს სასცენო ხელოვნების მუშაკთა თავგამოდებას, რათა მხატვრული სახრდო არ მოვაკლოთ მთიანეთს, შორეულ დაბებსა და სოფლებს.

უფრო მეტი ყურადღება, გულისყური და მზრუნველობა გვმართებს სახალხო თეატრებისადმი. ჩვენ ეფიქრობთ ფრიად სასარგებლო იქნება შეგქმნათ სახალხო თეატრების ერთიანი ცენტრი — თუნდაც რესპუბლიკური სამხატვრო საბჭოს მსგავსი რამ, რომელიც გააერთიანებს და სწორად წარმართავს სახოგადოებრივ ძალოვნებს თეატრალური თვითმოქმედების ზრდისა და შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად.

და ამ სათეატრო დღეობის აღნიშვნისას ერთ საკითხზეც მინდა ყურადღება გავამახვილო: სათეატრო უმაღლეს განათლებას მეტ წილად თბილისელები ეტანებიან. თეატრალურ ინსტიტუტში იშვიათად მოდიან ახალგაზრდები საქართველოს სხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან; ამით, რასაკვირველია, სასცენო ნიჭიერებით დაჯილდოებულთა შერჩევა იზღუდება. ყოველივე უნდა ვიღონთ, რომ თეატრალურ ინსტიტუტში საქართველოს ყველა ქალაქიდან და სოფლიდან მოვიზიდოთ სასცენო მონაცემებით გამორჩეული ახალგაზრდები. ამით დიდად დავეხმარებით სცენისათვის ღირსეული მხატვრული ცვლის აღზრდის საქმეს და საჭირო სამსახურს გავუწევთ სათეატრო ხელოვნებას.

დაე მარად მზეგრძელობდეს ჩვენი თეატრი!

დ. ჯანელიძე.

ბავშვებისათვის ჰასუხს ყველანი ვაგებთ

თბილისის ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლში გაიმართა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიისა და ამ სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის გაერთიანებული სხდომა.

სხდომაზე მოისმინეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ვ. შაღურის მოხსენება — „ბავშვთა უზედამხედველობისა და არასრულწლოვანთა შორის დანშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობა და მათი აღკვეთისათვის პროფილაქიკური მუშაობის გაძლიერება“.

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე უ. ფოლაძე, საქართველოს აღკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი გ. აბდუშელიშვილი, ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი რ. ასათიანი, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრეს მოადგილე გ. დოლიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე პ. მიქიაშვილი, საქართველოს სსრ პროკურორის პირველი მოადგილე გ. ბიწაძე.

სხდომაზე გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოები ფართო საზოგადოებრიობასთან მჭიდრო კავშირით სისტემატურად აწარმოებენ ბრძოლას ბავშვთა უზედამხედველობისა და არასრულწლოვანთა შორის დანშაულობის წინააღმდეგ. ამ საქმეში აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომკავშირული შტაბები, უმაღლესი სასწავლებლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების პარტიული ორგანიზაციები. პარტიისა და მთავრობის შესაბამის მითითებათა მიხედვით ოპერატიულ და გამაფრთხილებელ — პროფილაქტიკურ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებამ შესაძლებლობა მოგვცა ღრმად შეგვესწავლა ბავშვთა დანშაულობის წარმოშობი მიზეზები და დაგვესახა მასთან ბრძოლის კონკრეტული ღონისძიებანი. ამის შედეგად ბოლო წლის მანძილზე წინა წლებთან შედარებით არასრულწლოვანთა დანშაულობა მნიშვნელოვნად შემცირდა. განსაკუთრებით შესამჩნევი წარმატებანი მოიპოვეს თბილისის, აფხაზეთისა და აჭარის სსრ, ქუთაისის, ფოთის, ჭიათურის, გურჯაანის, ახალციხის, მახარაძისა და რესპუბლიკის მთელი რიგი სხვა რაიონების შინაგან საქმეთა ორგანოებმა. არასრულწლოვანთა დანშაულის არცერთი შემთხვევა არ ყოფილა აღრიცხული საგარეჯოს, სიღნაღის, ყაზბეგის, ჩხოროწყუს, ლენტეხის, მაიაკოვსკის, სამტრედიის, ახმეტისა და ბოგდანოვკის რაიონებში. მაგრამ მუშაობა ამ მხრივ რესპუბლიკაში მიმდინარე წელს რამდენადმე შესუსტდა.

სამართალდარღვევათა მესამედზე მეტს სჩადიან არასასწავლო დროს, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვთა დასვენების სწორ ორგანიზაციას. მცირეწლოვან დამნაშავეთა შორის მნიშვნელოვან პროცენტს ისინი შეადგენენ, ვინც არ სწავლობს და არ მუშაობს.

სხდომის მონაწილეებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ბრძოლის შემდგომ გაძლიერებას ბავშვთა უზედამხედველობისა და არასრულწლოვანთა შორის დანშაულობის წინააღმდეგ. მათ კვლავ აღნიშნეს, რომ განუხრელად უნდა განხორციელდეს პარტიული გადაწყვეტილებანი გამაფრთხილებელ - პროფილაქტიკური მუშაობის აქტივიზაციის შესახებ.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა ე. შევარდნაძემ.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე. (საქინფორმი).

27 მარტი თეატრის საერთაშორისო დღეა

ქართული პიესა სევასტოპოლში

ამ დღეებში სევასტოპოლში შაკი ზღვის წითელდროშოვანი ფლოტის დრამატული თეატრის კოლექტივმა წარმოადგინა გიორგი ხუხაშვილის რომანტიკული დრამა „სამი გიორგი“ ორ ნაწილად.

სპექტაკლი დადგა რსფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ი. ოფროსკიმ, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ნ. ვლადიმიროვს, მუსიკა — ვ. ვილიამს, ბალეტმეისტერია უკრაინის დამსახურებული არტისტი ს. რუნკოვა.

წარმოდგენაში მონაწილეობდნენ უკრაინის დამსახურებული არტისტები ვ. ეფიმოვი, ლ. ტარასოვი, მსახიობები ვ. ბოგდანოვი, ან. ვასილიევი, მ. სედნევი, ნ. ბაბიჩენკო, ლ. კირიუშინა, ლ. შაპოვალოვა, ნ. ლევანდოვსკი, ს. ვლასენკო, ვ. მოროზოვი, ე. სმირნოვი და სხვ.

სპექტაკლი სევასტოპოლელმა მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

მაყურებელმა ნახა პრემიერა

თელავი. (საკ. კორ.). ხ. ორჯონიკიძის სახელობის სარაიონთაშორისო სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა სეზონის მორიგ პრემიერად წარმოადგინა პ. კაკაბაძის კომედია „ყვავრყვარე თუშაბერი“. სპექტაკლი დადგა რეჟისორმა ნ. დეისაძემ, მხატვრულად გააფორმა ვ. დონდოლაძემ.

სპექტაკლში მთავარ როლებს ასრულებენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ვ. მარკოზაშვილი, გ. მამუჩიშვილი, ბ. მარტიაშვილი, ბ. ჯავახია, ა. კუპატაძე; მსახიობები ნ. დეისაძე, ა. ნანობაშვილი, რ. ბუბუურაშვილი, გ. მანველიშვილი, დ. მდივნიშვილი, დ. სხირტლაძე, მ. ღაღაშვილი, ვ. ფეიქრიშვილი და სხვები.

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ამ დღეებში შ. დადიანის სახელობის სარაიონთაშორისო სახელმწიფო დრამატულ თეატრში მორიგ პრემიერად აჩვენეს ცნობილი თურქი მწერლის ნაზიმ ჰიკმეთის სამმოქმედებიანი პიესა „ყეყეჩი“ (თარგმანი თურქულიდან ვ. ბაითიაშვილისა).

სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა დ. გაგუამ, მხატვრულად გააფორმა ვ. ვაბისონიამ, მუსიკალურად — ნ. გიგაურმა.

სურათზე: სცენა ზუგდიდის თეატრის სპექტაკლ „ყეყეჩიდან“. (თ. ფუტკარაძის ფოტო).

ახალი ლექსი

ბაგრატ შარაშიძე

აფხაზეთის ასსრ ხელოვნების

მთაწმინდა

მთაო წმინდაო, მზიან მხარეში
შენს სანახავად ისევ მოველი.
ბრწყინავს დიდებულ მატიანეში
შენი სახელი, ოქროს მთოველი.

უქარო დღეა და სიწყნარეა,
ამოველ სიბრძნის დასაწაფებლად
და არწივივით არ მიჩქარია
ფრთების გაშლა და მაღლა აფრენა.

რადგან მაღლა ვარ, შენს თბილ უბეში,
ვხედავ ბალახებს ნამით განბანილს!
ვხედავ, ვით ჰყვავის ცის სილურჯეში
უბერებელი ქართლის მთა-ბარი.

შენი უქრობი შუქი დაპნათის.
მათი სავანე მხოლოდ შენა ხარ.
წერდნენ, იბრძოდნენ, რათა ლამაზად
აყვავებული ქართლი ენახათ.

მთაწმინდავ, შენ ხარ მათი ნუგეში,
პატიოსნების გასხივოსნება,
საუკუნიდან საუკუნეში
გადაგაქვს მათი წმინდა ოცნება.

თავზე ადგახარ გმირთა სავანეს
ისე, ვით დედა, დედა-მარადი,
თავდადებულთა შთამომავალებს
შენი უქრობი შუქი დაპნათის.

შენს მკერდზე გაჩნდა სხივი დილის მზის,
კალთებს გეყრება ოქროს ბწკალები,
შენ მეუფე ხარ დიდი თბილისის,
მარადიული მისი თვალები.

ახალმა ჰანგმა გაიწკრიალა
და ნაპერწკლები სიტყვას დასცვივდა
და დილის დამწველ მზეში ბრიალებს
უძველესი და ნორჩი მთაწმინდა.

ვიორგი ლეონიძის გაკვეთილები

იმ დღეებს ხსოვნა ინახავს ჩემი:
გოგლასთან ერთად ვეწვიე კახეთს,
შემოდგომის მზით იწვოდა გრემი,
მართლაც ზღაპრული სამოთხე ვნახე.

იდგა ნამდვილი კახური რთველი,
საამო, ტკბილი, ქორწილის მსგავსი;
გოგლამ ღონიერ, დაუღლელ ხელით
გამომიწოდა ავსილი თასი.

ხვავს ვერ იტევდა კახეთის კალთა,
სავსე მზითა და მზისფერი მტევნით;
ცის გამჭვირვალე სარკეში ჩანდა
ვეება მხრები ბებერი გრემის.

ჩვენ მივიწევდით მაღლა, სულ მაღლა
და გოგლას ლექსი მესმოდა ტკბილი, —
ის წამსვე იცნო მშობელმა ხალხმა
კახეთს მოსული ერთგული შვილი.

ის მაღლდებოდა ისე ვით გრემი —
მგოსნისთვის მართლაც ტრიბუნა დიდი,
კავკასიონზე სიამის მგვრელი
ლექსი დაქროდა — ფრთალაღი ჩიტი.

და ამ მხარეში ძნელია მეტად
ატარო მგოსნის სახელი დიდი,
სად პოეზია დგას ნათლის სვეტად,
გადმოკიდულა, ვით ოქროს ხიდი.

უმგოსნო მხარეს უბედოდ ჩავთვლი,
ულექსო მხარეს — უბედო დედად.
აქ კი სავსეა ეს მიწა მადლით
და რჩეულ მგოსანს სახავენ ღმერთად.

იმ დღეებს ხსოვნა ინახავს ჩემი
და გოგლას ლექსის წკრიალი მესმის.
შემოდგომის მზით იწვოდა გრემი,
ხსოვნაში იწვის ეს ჩემი ლექსიც.

თარგმანი რევაზ მარგიანისა.

„კომუნისტის“ ფოსტიდან

ამბები სტრიქონებში

● **თელავი.** ფშავლის სასოფლო საბჭოს აღმასკომი 45 სახალხო რაზმელს ითვლის (შტაბის უფროსი ო. ციხისთავი). ისინი აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივი წესრიგის მტკიცედ დაცვაში. რაზმელებს შორის აღსანიშნავი არიან: ტ. ჭუაძე, რ. ზათირიშვილი, შ. ზათიაშვილი, მ. ხუციშვილი, ა. აბუეევი, გ. წიქარაძე, შ. სოხურიშვილი.

ფ. ციხისთავი.

● ** წითელწყარო.** რაიონის ჯაფარიძის სახოლო ბიბლიოთეკამ (გამგე ი. ბენაშვილი), მკითხველებთან ერთად შინაარსიანი გეგმა შეადგინა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად. გეგმის მიხედვით მოეწყო ფოტოგამოფენა „ძმურია ჩვენი კავშირი“.

ვ. გოგოლაშვილი.

● **ახალციხე.** სოფელ მინაძის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოლექტივებმა მოაწყეს შეხვედრა სამამულო ომის ვეტერანებთან. მოხსენებით „ჩვენი თანამემამულენი დიდ სამამულო ომში“ გამოვიდა სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი თ. ზედგინიძე.

საინტერესო მოგონებებით გამოვიდა სამამულო ომის მონაწილე შ. ბარძიმაძე.

მ. ბარძიმაძე.

წარმატებით ჩავატარეთ გუნების დაცვის კვირეული

საყოველთაო საზრუნავი

საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ბუნების მეგობარმა“ რესპუბლიკაში დაიწყო ბუნების დაცვის კვირეული. იგი 10 მაისამდე გაგრძელდება. ეს კვირეული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავს ეძღვნება.

წელს მარტო საზოგადოების ხაზით უნდა დაგრგთ და გავახაროთ 4 მილიონი ძირი ხე და ბუჩქი. მცენარეები დაირგვება ახლადდასახლებულ სოფლებში და მუშათა დაბებში, ბაღებში, ბაღებში გასწვრივ, უტყეო და მცირეტყიან ადგილებში, ჩამორეცხილ ხროკ ფერდობებზე.

საზოგადოება ძირეულ ორგანიზაციებს ნერგით ძირითადად დაეკმაყოფილებს საკუთარი სანერგედან, რომელიც 80 ჰექტარამდე ფართობზეა გაშენებული. სარგავი მასალის შეძენაში დაგვიხმარებიან აგრეთვე სატყეო მეურნეობები და სანერგეები, რომლებიც შედიან საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების სისტემაში.

საზოგადოების პრეზიდიუმი დახმარებას უწევს ყველა რაიონს და ქალაქს გამწვანების საქმეში, განსაკუთრებით მაღალმთიან რაიონებს, რომლებსაც მკაცრი ჰავის გამო ძლიერ უჭირთ ნარგავების გახარება. იქ კვირეული მოგვიანებით, აპრილის ბოლო რიცხვებში დაიწყება. ამ დროისათვის ნერგი უკვე ყველგან ფოთლებიც გამოტანილი აქვს, მისი ამოღება, გადატანა და დარგვა დაგვიანებულია. ამიტომ ამ რაიონების ორგანიზაციებმა ადრევე უნდა იზრუნონ ნერგის შეძენაზე, შეინახონ მიწაში მზისა და ქარისაგან დაცულ ადგილას, მიაყარონ სველი მიწა და დატკეპნონ. როდესაც დარგვის დრო დადგება, ჩარგონ წინასწარ მომზადებულ ორმოებში.

მისასალმებელია, რომ გამწვანების და საერთოდ ბუნების დაცვის საქმეში სულ უფრო აქტიურად და ხალისით ებმება ჩვენი მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა. მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როცა სკოლების, ტექნიკუმების და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისა და მოსწავლეების მუყაითი შრომის შედეგად არაერთი პარკი და სკვერი გაშენდა. ათობით ჰექტარი ხროკი ფერდობები დაიფარა მწვანე ნარგავებით. თითქმის ყველგან ამ საქმეში კომკავშირის და საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები არიან ინიციატორები.

ჯანის რაიონის ცენტრის ახლოს 5 ჰექტარ შიშველ და ხროკ გორაზე, რომელსაც ახლა „მშვიდობის გორა“ უწოდება, ამ რამდენიმე წლის წინათ დაირგო წიწვიანი და ფოთლიანი ჯიშების რამდენიმე ათასი ძირი ნერგი. კარგი მოვლისა და ყურადღების შედეგად მცენარეთა 80 პროცენტი გადარჩენილია. ამ საქმეში თავი გამოიჩინეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლეებმა და რაიონის მთელმა მოსახლეობამ.

ვისაც ამ 4-5 წლის წინათ გაუვლია ქუთაისის გარეუბნებში, მდინარე ოდასკურას მიდამოებში ე. წ. თეთრამაწის მახლობლად, ან კიდევ მწვანე ყვავილასა და სხვა ადგილებში, ალბათ ემახსოვრება, თუ როგორი მოტიტვლებული იყო ეს უბანი. ახლა თეთრამაწის მიდამოებში მწვანე მასივები გაშენდა 20 ჰექტარზე მეტ ფართობზე.

რამდენიმე წელია მიმდინარეობს ჩოხატაურის ახლოს ე. წ. ფარცხის ჩამორეცხილი ფერდობების გატყიანება. აქ უკვე დარგული და გახარებულია სხვადასხვა ჯიშის რამდენიმე ათეული ათასი ძირი მარადმწვანე წიწვიანი და ფოთლიანი ჯიშის ხეები და ხეხილი. ახლა ეს ადგილი ერთ-ერთ კარგ დასასვენებელ ადგილად ითვლება ჩოხატაურელ მშრომელთათვის.

ვის არ უნახავს მცხეთა-იგოეთის, ყვარელ-ლაგოდეხის, სიღნაღ-ჩალაუბნის და სხვა მრავალი გზატკეცილების გასწვრივ დარგული ხეები, სოფლების გამარჯვებისა და სართიჭალის (გარდაბნის რაიონი), სოფლების წერეთლისა და თამარისის (მარნეულის რაიონი) და მრავალ სხვათა მიდამოები, სადაც რამდენიმე წლის წინათ ერთი ხეც არ იდგა, ახლა კი მწვანეშია ჩაფლული.

გამწვანების საქმეში წარმატებები აქვთ რესპუბლიკის სხვა რაიონებსა და ქალაქებსაც. საზოგადოების ბევრმა საქალაქო და რაიონულმა საბჭომ, პირველადმა ორგანიზაციამ, სკოლამ, ტექნიკუმმა ისახელეს თავი ბუნების გამდიდრების და დაცვის საქმეში. მათ მწვანით შემოსეს და გალამაზეს თავიანთი სოფელი, ეზო, ბევრმა მოსწავლემ და სტუდენტმა დაამსახურა საზოგადოების საპატიო სიგელები, ნაწილს საზოგადოების ხარჯზე მიეცა საგზურები სანატორიუმ მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ქ. მოსკოვში.

საჭიროა ვიცოდეთ, რომ უტყეო ადგილები უნდა გამწვანდეს ყოველწლიურად ნაწილ-ნაწილ, თანდათანობით, იმის მიხედვით, თუ მოგლა დაცვის მხრივ რა შესაძლებლობა გვაქვს. ნუ გავიტაცებს ერთდროულად დიდ ფართობზე გამწვანება, ერთბაშად რამდენიმე კილომეტრ სიგრძეზე ნერგების დარგვა, რადგან მათი მორწყვა და მოვლა გაგვიჭირდება, ნერგი დაგვეფუტება.

კვირეულთან დაკავშირებით სასარგებლო ფრინველის გამრავლების მიზნით, საზოგადოებამ ზოგიერთი რაიონის სკოლებს დაუგზავნა ხელოვნური საბუდრები, რომლებსაც მოაწყობენ ხეებზე ტყის ნაპირებთან, ბაღებში, სკოლის ტერიტორიაზე და სხვა ადგილებში. წარსული წლებშიც ბევრი სკოლის პიონერიულ ორგანიზაციებს დაუგზავნეთ ასეთი საბ

ფოტოსპრავდით — საქართველოს მთა-ბარში

სურათზე: ზემოთ — ყაზბეგის ხედი ხოფელ სამების მხრიდან. ი. დვალის ფოტო. (საკლესიო ფოტოქრონიკა).

საქართველოში დაახლოებით 60 ათასი დღეგრძელი ადამიანი ცხოვრობს, მათ შორის 2 ათასი 100 წლისაა. უხუცესები განსაკუთრებით ბევრნი არიან აფხაზეთში. გუდაუთის რაიონის ორ სოფელში — დურიფშში და ლიხნაში საკოლმეურნეო მინდვრებში დღემდე შრომობენ ადამიანები, რომლებმაც 80 წელს გადააბიჯეს.

სოციალისტური შრომის გმირი, 92 წლის მურან თარბა, ასი წლის თემურ თარბა და მათი „ახალგაზრდა“ ამხანაგი — 70 წლის კახტეი ტანია დღესაც თავდადებული შრომის მაგალითს იძლევიან და საუკეთესო სიმინდი, ხილი, ციტრუსები მოჰყავთ.

სურათზე: ქვემოთ (მარცხნიდან მარჯვნივ) სოფელ დურიფშის კოლმეურნეობის ვეტერანები სოციალისტური შრომის გმირი მურან თარბა, კახტეი ტანია და თემურ თარბა.

გ. კიკვაძის ფოტო (საკლესიო ფოტოქრონიკა).

ეძღვნება დიად იუბილეს

რუსთავი—პირველკავკასიანი

რუსთავი. (საკ. კორ). დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს რუსთაველ და კიროვაკანელ შრომელებს. ამ მეგობრობის ისტორიაში კიდევ ერთი ფურცელი ჩაიწერა. კიროვაკანში საქართველოს დღეებთან დაკავშირებით რუსთავიდან დელეგაცია გიმგზავრა.

დელეგაციის წევრები ქიმიური კომბინატის მუშა-მოსამსახურეები არიან. მეგობრობის ზეიმში მონაწილეობის მისაღებად ქიმიკოსებმა თან წაიყვანეს კულტურის სახლთან არსებული თვითმოქმედი კოლექტივები.

სტუმრებმა მასპინძლებს გააცნეს თავიანთი საქმიანობა, აჩვენეს მხატვრული თვითმოქმედება.

თავის მხრივ მრავალი საინტერესო ღონისძიება განახორციელეს კიროვაკანელმა მასპინძლებმა. მათ ქართველ მეგობრებს დაათვალიერებინეს თავიანთი ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, ახალშენებლობანი, საწარმოები. ქართველმა ქიმიკოსებმა კიროვაკანში მრავალი ახალი მეგობარი შეიძინეს.

შემოხვევა

თავგანწირვა

ეს მოხდა ჭუთაისში. გრიშაშვილის ქუჩის №-4 შესახვევის № 9 სახლში მცხოვრებმა ნ. აბულაძემ სახლიდან წასვლისას შინ ანთებული ნავთქურა დატოვა. გაუფრთხილებლობას ხანძარი მოჰყვა. ცეცხლის ენები მისწვდა კარებსა და ჭერს. როცა სტიქია ბობოქრობდა, შინ მოვიდა ნ. აბულაძის ქალიშვილი. რაკი ამ დროს მთელ სახლში არავინ იყო, მან დასახმარებლად მოიხმო მეზობლები.

ალმოდებულ სახლში შესვლა ვერავინ გაბედა. მამაცობა და თავგანწირვა გამოიჩინა ომგადახდილმა პენსიონერმა ალექსანდრე ველიაშვილმა, რომელიც მყისვე შეიჭრა სახლში, ცეცხლწაკიდებული ნავთქურა გარეთ გამოიტანა, ეზოში გადაისროლა და ხანძრის ქრობას შეუდგა. მას სხვა მეზობლებიც მიეშველნენ და ხანძარი ჩაქრეს.

კეთილმა მეზობელმა, რომელმაც სახლი არეში და მარცხენა ხელზე დამწვრობა მიიღო, მამაცობით საყოველთაო მადლობა დაიმსახურა.

შ. ჯაფარიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ვლანტაციია იხსნეს

ორჯონიკიძე. 24 მარტი. (საქინფორმი). ოხურეის რვაწლიანი სკოლის მოსწავლეები ვ. დარსანია, გ. ლაგვილავა, და ა. ყუფუნია სკოლიდან შინ ბრუნდებოდნენ. ბექობზე, სადაც ჩაის პლანტაციები იწყება, მათ ცეცხლი შენიშნეს, იწყოდა გამხმარი გვიმრა და საფრთხეს უქმნიდა გვერდით ჩაის პლანტაციას.

ბავშვები არ დაიბნენ და მაშინვე შეუდგნენ ცეცხლს ჩაქრობას. მალე დიდმამაც მოუსწრეს და ხანძარიც ჩაქრეს.

მიფრინავს „პოსმოს-480“

საქალაქთაშორისო ცნობა

1972 წლის 25 მარტს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „ოსპუტნიკი-480“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს ბორბიტალური სივრცის კვლევას ამ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკავშირო მასშტაბით 1962 წლის 16 მარტს. თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მიმოქცევის საწყისი პერიოდი — 109,2 წუთი;

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 1212 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 183 კილომეტრი;

— ორბიტის დახრილობა — 83 გრადუსი.

სამეცნიერო აპარატურის გარდა თანამგზავრზე არის: რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის, რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამომთვლელი ცენტრი აშუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

ქვარია მოხდა, ვინ არის დამნაშავე?

„გულკეთილი ძიების“ მსხვერპლი

ამ დღეებში წყნეთის გზაზე საზარელი ავარია მოხდა. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ავტოსატრანსპორტო საწარმოს კუთვნილი ავტომანქანა ხვეში გადაიჩეხა, რის გამო ადგილზე გარდაეცვალა სამი, ხოლო სერიოზულად დაშავდა შვიდი ადამიანი. ავტოავარიის გამომწვევი მიზეზი გაუფრთხილებლობა და თავშეგუებული სიარულია. მძღოლმა ო. ოძელაშვილმა წყნეთის დაღმართზე და მოსახვევში ვერ უზრუნველყო მოძრაობის უშიშროება, დაეჯახა მარჯვნივ გზის პირას ბოძკინტებს, გადაანგრია ისინი და ხეში გადაიჩეხა.

შეიძლებოდა ეს კატასტროფა არ მომხდარიყო, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ავტოსატრანსპორტო საწარმოში (უფროსი ა. საბახტარაშვილი, გარაჟის გამგე პ. ასათიანი) წესრიგი და დისციპლინა რომ იყოს. სამუშაოს დამთავრების შემდეგ მძღოლი ო. ოძელაშვილი ნაცვლად იმისა, რომ გარაჟში დაბრუნებულიყო, ავტომანქანით წაიყიდა წყნეთში. შაბათ-კვირას ავტომობილი თავისი სახლის ეზოში იდგა. ორშაბათ დილას 7 საათზე მანქანაში ჩასვა თანასოფლელები და პირადი გამორჩენის მიზნით წამოიყვანა თბილისში. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ 4, 9 და 10 მარტს გაეცემოდა საგზურები დისპეტჩერისათვის უკან არ ჩაუბარებია(?!), მაშასადამე არავინ დაინტერესებულა სად იყო ამ დღეს მანქანა.

იმავე ავტოსატრანსპორტო საწარმოს ავტომანქანის მძღოლი რაფიელ მაიაკანოვი წელს 29 იანვარს ავტონესპექციის მუშაკებმა დაიკავეს მაშინ, როცა ჯორიდან თბილისში პირადი გამორჩენის მიზნით 9 კაცი ვადმოჰყავდა. მძღოლ რ. მაცაკანოვზე რესპუბლიკის ავტოინსპექციაში მანამდე მამხილებელი წერილიც კი იყო შემოსული, — მან სახელმწიფო ავტომობილი შემოსავლის წყაროდ გაიხადაო.

სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკებმა შეამოწმეს საქართველოს კულტურის სამინისტროს ავტოსატრანსპორტო საწარმოს საქმიანობა. გამოირკვა, რომ 16 ავტომობილიდან 6, ე. ი. 37,5 პროცენტი ტექნიკურად გაუმართავი აღმოჩნდა, რაც მოძრაობისათვის მეტად საშიში იყო. შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ყველა ავტობუსზე ეიცცლსაქრობები გაუმართავი იყო. მიუხედავად ამისა, ცვლის მეჩანიკოსმა გ. შავლაშვილმა მანქანები სამუშაოდ გაუშვა.

კულტურის სამინისტროს ავტოსატრანსპორტო საწარმო ბასული წლის დასაწყისში შეიქმნა. მიუხედავად საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის ბრძანებისა, დღემდე ვერ მოხერხდა სამინისტროს სისტემაში შემავალ დაწესებულებათა ყველა ავტომანქანის გადაცემა ავტოსატრანსპორტო საწარმოსათვის. ამიტომ მათი მანქანები ან ქუჩებში დგანან, ან მძღოლების საცხოვრებელი სახლების ეზოებში.

შარშან სახელმწიფო ავტოინსპექციის მიერ ადმინისტრაციული სასჯელი დაედო ამ სამინისტროს 13 მძღოლს: აქედან მთვრალ მდგომარეობაში მანქანის მართვისათვის სამ მძღოლს, ავარიისათვის — ოთხს, ტრანსპორტის პირადი გამორჩენის მიზნით გამოყენებისათვის — ორს, ტრანსპორტის ტექნიკურად გაუმართობისათვის — ერთს, ეახსწრების წესის დარღვევისათვის — სამ მძღოლს.

დასკვნა ერთია: აღნიშნულ ავტოსაწარმოში სათანადო სიმაღლეზე არ დგას შრომის დისციპლინა, ამიტომ შედეგიც სავალალოა.

ა. კობაახიძე.
მილიციის მაიორი.

ხსსკმართლოს დარბაზიდან

მხოლოდ დაუდევრობა?..

საჩხერე. (საკ. კორ.). სამგზავრო ავტობუსი, რომელსაც მძღოლი ვ. აბდუშელიშვილი მართავდა, სოფელ ჭალიდან ერთობ გადატვირთული გამოვიდა. ავტობუსში ტევრი არ იყო. მოსახვევთან ავტობუსის კარები გაიღო, იქ მდგომმა მგზავრმა შ. ჭიტაძემ თავი ვეღარ შეიკავა და ავტობუსიდან გადმოვარდა. იგი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

საჩხერის სახალხო სასამართლომ მძღოლ ვ. აბდუშელიშვილს ხუთი წლის პატიმრობა მიუსაჯა.

საზაოსნოს— საკავშირო დროშა

ბათუმი. (საკ. კორ.). საქართველოს საზღვაო სანაოსნო 1971 წლის მეოთხე კვარტალის მაჩვენებლებით გამარჯვებული გამოვიდა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, რისთვისაც დაიმსახურა სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროსა და საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

ახლახან სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. შეინმა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს საზეიმო ვითარებაში გადასცა გარდამავალი დროშა.

საქართველოს მეზღვაურთა საქართველოს სანაოსნოს უფროსმა ა. კაკბარავამ პირობა დადო, რომ ხუთწლედის მეორე წელს ახალი შრომითი გამარჯვებებით გააბარებენ დედა-სამშობლოს.

ჯგროლაურში

საოჯახო მუზეუმი

ბოუკრე, დაკმშვენე შენი ქალაქი, შენი სოფელი, კარმიდამო

ყველა იცნობს გახის ხარაიონთაშორისო კანტორის მთავარ ინჟინერს, ამ ახალი დარგის შესანიშნავ სპეციალისტსა და ორგანიზატორს ვახტანგ იაშვილს.

მან არაერთი წყალწაღებული გამოსტაცა მდინარე რიონის ტალღებს, მამაცი ადამიანის თავგანწირული გმირობისა და კეთილშობილური საქციელის შესახებ იტყობინებოდნენ რაიონული და რესპუბლიკური გაზეთები.

ვ. იაშვილმა სხვა რამითაც გაითქვა სახელი. ორსართულიანი ოდა სახლის დერეფანში მოაწყო ორიგინალური საოჯახო მუზეუმი. მუზეუმის ერთი კუთხე მის წინაპართა გენეალოგიურ სქემას უჭირავს. აქვე გამოფენილია პაპისა და მამის საყოფაცხოვრებოსამეურნეო იარაღები. ყურადღებას იპყრობს ძველი ქართული ურმის ორი თვალი. ეს ეჭსპონატები კედელშია დატანებული და ფანჯრის მოვალეობასაც ასრულებს. რაჭული ჩოჩიალა ურმის ერთი პატარა თვალი კი ჭერზეა ჩამოკიდებული და ღამით ნათურის მოვალეობას ასრულებს. მნახველის ყურადღებას იპყრობს ძველებური, გლეხური ბუხრის მაკეტი. ბუხრის საქვაბეზე ჩამოკიდებულია მამაპაპური ქვაბი. კვლავ მუშაობს ძველებური, მთლიანი ხისაგან გამოკვეთილი საწნახელი.

მუზეუმის დამაარსებელ დიდი გულმოდგინეობით შეუგროვებია და თვალსაჩინო ადგილას გამოუფენია წინაპრების ნახმარი საბრძოლო იარაღები, მათგან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მუჯირა, ანუ სვანური ხიშტი, სატევარი, მოვერცხლილი ქართული ხმალი, კაჟიანი თოფი, ხანჯალი და ორი ხანადირო ბერდანკა. ორიგინალურია ხის სხვადასხვაგვარი ნივთებისა და ავეჯის კოლექცია. დამთვალიერებლებს განსაკუთრებით აოცებს უნიკალური, გრძელი მაგიდა და ოთხი ხის სკამი, რომლებიც მთლიანი ხისაგან არის გამოკვეთილნი, მაგიდისა და სკამების ფეხების მოვალეობას ხის ტოტები ასრულებენ. დიდი გემოვნების მქონე ლურგალს ერთი ცალი ლურსმანიც კი არა აქვს ნახმარი.

ყურადღებას იქცევს ქართული ფანჯრების მდიდარი კოლექცია. აქ გამოფენილია სხვადასხვა მასალისაგან გამოკვეთილი 24 ცალი ყანწი. ორიგინალურობით გამოირჩევა ბუნებრივი მოხრილი ხისაგან დამზადებული ერთი მეტრი სიგრძის ყანწი. სასმისების კოლექციის ქვემოთ 50 ფუთის ტევადობის ექვსი ჭურიჭა ჩაფლული, ისინი ანყობულია შარბათივით ტკბილი სახელგანთქმული ღვინოებით — სვანეთელარითა და რაჭული თეთრათი.

დერეფნის შესასვლელთან ყურადღებას იქცევს ძველი ქართული ქვით ნაგები წყარო, საიდანაც ანკარა სასმელი წყლის ნაკადი გადმოჩქეფს. ეს წყარო სოფელ კლდისუბანში არსებული იაშვილისეული საგვარეულო წყაროს ასლია. მუზეუმის ერთი კედელი დათმობილი აქვს მხატვარ გურამ ფანჯიკიძის მიერ შესრულებულ ტილოს — „რიონის ხეობა“.

ვ. იაშვილი ჩვენი ქვეყნის ფაუნაფლორის დიდი მოტრფიალე და ქომაგია. ამიტომ არის, რომ მან საოჯახო მუზეუმში მცენარითა და ცხოველთა მრავალი ეჭსპონატი გამოაფინა. მნახველს შეუძლია დათვალიეროს ირმის ოთხი და ლოსის ორი რქა, კავკასიის დათვისა და ფარშავანგის ფიტულები.

მუზეუმის გვერდით მდებარე ეზოს ერთი კუთხე პატარა ზოოპარკს უჭირავს. იქ კავკასიის ორი ჯიხვი, ერთი არჩვი და ფარშავანგი ბინადრობს, ხელოვნური ტბის ზედაპირს კი გარეული ბატები სერავენ. აქ სხვადასხვა ჯიშის თევზები ბინადრობენ.

ინათებს თუ არა, ვ. იაშვილის ეზოდან ავტომანქანა გამოსრიალდება და ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ერეკ აკეთებს. ავტომანქანას არჩვი და ორი ჯიხვი დათიხული მისდევენ. ზოოპარკის ბინადარნი დილის ვარჯიშს ასრულებენ.

— ჩვენმა მეგობრებმა, — გვეუბნება ოჯახის დისასახლისი თინა იაშვილი, — ყოველ დილით 15-20 კილომეტრი უნდა გაირბინონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მხნეობას ვერ შეინარჩუნებენ, ჩლიქებზე წამონაზარდები გაუჩნდებათ და დასუსტდებიან.

დილის გამამხნევებელი ვარჯიშის შემდეგ ცხოველები რიონის პირას ბალახობენ. დანაყრდებიან თუ არა, კამარას ჰკრავენ, ღობე-ყორეს გადმოვლებიან და ელვის სისწრაფით შინისაკენ გარბიან.

ხოოჯახო მუზეუმი ბევრმა ხალხმა დაათვალიერა. აქ ამას წინათ იყვნენ ჩეხები, ინგლისელები, უკრაინელები და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სტუმრები.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

* * *

ხურათზე: ვ. იაშვილი თავისი მოშინაურებული ჯიხვით.

ეროვნული

სსრ კავშირის თასზე

„დინამო“ (თბილისი)-„კარპატი“ (ლვოვი) 1:1 (0:0), თბილისი. 25 მარტი. „ლოკომოტივი“ სტადიონი; მსაჯი — ვ. ალოვი (ლენინგრადი).

„დინამო“ — ტატიანი, ძოძუაშვილი, ბელაძე, ხუციანავა, პეტრიაშვილი, გავაშელი, კუტივაძე (მჭედლიშვილი), მაჩაიძე, გუცაევი, გ. ნოდია, ლ. ნოდია (ყიფიანი).

„კარპატი“ — ვაიდა (ლვოვი), გერეგი, პოტორნიაკი, კულჩიცკი, ფურავსკი, ბროვარსკი, გრეშჩაკი, სავკა, ხიფაკი (შპოდარუნოკი), ლიხაჩოვი, კოზინკევიჩი.

მეტოქეთა პირველი მატჩი ლვოვში ფრედ (0:0) დამთავრდა, ამიტომ თუ ვინ გავიღოდა ნახევარფინალში ეს დამოკიდებული იყო გუშინდელ შეხვედრაზე.

პირველ ტაიმში ბურთი არ გაუტანიათ. ძირითადი ბრძოლა მეორე ნახევარში გაჩაღდა. 50-ე წუთზე ანგარიში გ. ნოდიამ გახსნა, 16 წუთის შემდეგ სტუმრებმა წონასწორობა აღადგინეს. შეხვედრის მიწურულში გ. ნოდიამ პენალტი ვერ გამოიყენა. შეხვედრა დამთავრდა ფრედ 1:1. რადგან მეტოქის მოედანზე გატანილი ბურთი ორმაგად ფასობს, ნახევარფინალში „კარპატი“ გავიდა.

ბუშინ გაიმართა კიდევ სამი მეორე მეოთხედფინალური მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის თასზე.

ხერსონში თამამობდნენ მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და „სპარტაკის“ გუნდები. წარმატება სპარტაკელებს ხვდათ 2:1 და ნახევარფინალშიც ისინი გავიდნენ.

სოჭში ცსკა-მ სძლია დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდს 3:0 და თასისათვის ბრძოლას განაგრძობს.

სოჭშივე გაიმართა მოსკოვის „ტორპედოსა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ შეხვედრა. წარმატება ტორპედოელებს ხვდათ 2:0 და ნახევარფინალის საგზურიც მათ მოიპოვეს.

ამრიგად, ნახევარფინალებში, რომლებიც 2 და 28 ივლისს გაიმართება ერთმანეთს შეხვდებიან მოსკოვის „სპარტაკისა“ და ლვოვის „კარპატის“ და დედაქალაქის „ტორპედოსა“ და ცსკა-ს გუნდები.

მეოთხე გამარჯვება ზედიზედ

ნიუ-იორკი, 25 მარტი. (საკადესის სპეც კორესპონდენტები ო. ბაიდაშინი და ვ. კუკუშკინი).

ამერიკის შეერთებულ შტატებში თავიანთი ტურნეს უკანასკნელ მატჩში მეოთხედ დაამარცხეს მასპინძლები თავისუფალი სტილის საბჭოთა მოჭიდაველებმა — 6,5:3,5.

ჩვენი გუნდიდან ჩინებულად გამოვიდნენ მოსკოველი რომან დმიტრიევი და თბილისელი ნოდარ მოდებაძე. რომანმა (მჩატე წონა) მეშვიდე წუთზე ბეჭებზე დასცა ეინ ჰოუპხი. ნოდარმა (მძიმე წონა) მეორე წუთზე დაამარცხა ჯოელ კისლანი.

ეი დანარჩენი შეხვედრების შედეგები: მახაჩკალელმა ამინულა ნასრულაევმა უკანასკნელ წუთებში „მოიპოვა“ გამარჯვება კულებით ჯონ მორლეიხთან. 1971 წლის მსოფლიო ჩემპიონმა — თბილისელმა ლევან თედიაშვილმა დაამარცხა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ფრედ ფოზარტი, ალმაათელმა პეტრე სურიკოვმა — ვინსენტ პაოლანო. ფრედ დაამთავრეს შეხვედრები კიეველმა ვლადიმერ ჩერკასოვმა და რიკ ზანდერსონმა, მახაჩკალელმა ზაგალავ აბდულბეკოვმა და დეივ პრუფანს�sმ, თბილისელმა შოთა ლომძიმემ და რას ბელიქენმა. თბილისელმა ნოდარ ხოხაშვილმა წააგო ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონ უეინ უელსთან. მასპინძლებმა კიდევ ერთი ქულა მოიპოვეს უბრძოლველად — ერთ-ერთ წონითს კატეგორიაში ჩვენს სპორტსმენებს მონაწილე არ გამოუცვანათ.

ბოლო

— კმერწყანი საჩუქრები ვისაც მოგაკვთ, შეგიძლიათ ურიგოდ გადმოცეთ.

დაკ... ოჯახში



— ამ საზეიმო დღეს მუღლისაგან ხელის ანაბეჭდი დაგრჩებ.

ნახატები მ. აბაშიძისა.

ტელევიზია

26 მარტი

პირველი პროგრამით

09.30 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 10.30 — ბავშვებისათვის — „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „მუსიკალური კოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — პოლონური სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია“ (პირველი სერია, ქართულ ენაზე), 12.30—აბიტურიენტთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 13.15 — აბიტურიენტთა დასახმარებლად — ლექცია სსრ კავშირის ისტორიაში, 14.00 — პოლონური სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ოთხი ტანკისტი და ძაღლი“ (მეცხრამეტე სერია), 15.05 — ლაპარაკობენ საბჭოთა კავშირის პროფკავშირების XV ყრილობის დელეგატები (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.15 — „30 წუთი კინოს მოყვარულთათვის“, 15.45 — ფერადი ტელევიზია „რუსული ხელოვნების საგანძური (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.10 — „კინოფიშა“, 16.30 — „სსრკ-50“ — „თავისუფალ ერთა ძმურ ოჯახში“, 16.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „კინოდოკუმენტალისტის თვალით“, 18.00 — ფერადი ტელევიზია. „კინომოგზაურობის კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „ადამიანი და სამყარო“, 19.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „მულტპანორამა“. ნახატი ფილმი „ბემბი“, 20.40 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.50 — „სიცილის ოსტატთა პორტრეტები“ — ალექსანდრე ჟორჟოლიანი, 21.40 — „ვრემია“ საინფორმაციო პროგრამა, (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.20 — „სსრკ-50“ — კონცერტი „ჩვენი ქვეყნის მელოდიები“, 23.00 — „სამორინე“, 23.35 — სპორტული პროგრამა.

მეორე პროგრამით

19.20 — „სსრკ-50“ — ჩვენი სამეგობრო ნობათი“, 20.00 — კონცერტი, 20.30 — კინონარკვევი, 20.50 —საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „მხოლოდ ერთი თვე“.

27 მარტი

პირველი პროგრამით

11.05 — მხატვრული ფილმი „ალბატროსის“ უკანასკნელი რეისი“ (პირველი სერია), 17.00 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 18.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „ცეროდენას ეკრანი“, 18.30 — განცხადებები, 18.35 — პოლონური სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია“. მესამე სერია. (ქართულ ენაზე), 19.30 — „გადავაქციოთ მეცხოველეობა რენტაბელურ დარგად“, 19.50 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.15 — „იკურთხოს იმის მარჯვენა“ — ნინო ბოცვაძე, 20.35 — კონცერტი, 21.10 — „თეატრის საერთაშორისო დღე“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი — ანას ბედნიერება“.

მეორე პროგრამით

19.05 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მასალათა გამძლეობაში, 20.05 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ფილოსოფიაში, 20.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — მხატვრული ფილმი „ვრძელი რიქი“.

ოსტატები

26 მარტი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ბაქია ბაქია (დღისით) მინდია (საღამოს 6 ს.); **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — სალამურა (დღისით), ხანუმა (საღამოს); **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — სამანიშვილის დერნრბეკალი (დღისით), **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ნუ გეშინია, დედა! (დღისით), ანტიგონე (საღამოს); **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — არშინ-მალ-ალან (დღისით და საღამოს).

КОМУНИСТИ ИНДЕКС 60443 უე 04482

380008 თბილისი-8. ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10. განუოთილებებისა: პარტიული — 99 87-61. პროპაგანდის — 93-22-93. პრეწყვილობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46. საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70 მიცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93 27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, ოცნოეთის — 99-60-21. წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28.54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

სტ. 43 ააკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.